ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი # 4

ქ. ონი 27 აპრილი 2022 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე ლევან ორდინიძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნინო გობეჯიშვილი, მერაბ ბიჭაშვილი, ბესიკი მაისურაძე, ნონა მაისურაძე, თამილა არჩვაძე, თორნიკე მეტრეველი, ფრიდონ გოგრიჭიანი, ნოდარ ბურდილაძე, თამაზ მეტრეველი.

არ ესწრებოდნენ: ემზარ საბანაძე

 კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების შპს ,,ონის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ჯგუფისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში (უსასყიდლოს) თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ.

მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე

2. მერთა შეთანხმება კლიმატის ცვლილების შედეგთა შერბილებისა და ადაპტაციის მიზნების შესახებ.

 მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე

მოისმინეს : 1. ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების შპს ,,ონის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ჯგუფისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში (უსასყიდლოს) თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ.

მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების შპს ,,ონის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ჯგუფისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში (უსასყიდლოს) თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მოიწონეს აღნიშნული საკითხი.

მოისმინეს : 2. მერთა შეთანხმება კლიმატის ცვლილების შედეგთა შერბილებისა და ადაპტაციის მიზნების შესახებ.

მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,მერთა შეთანხმება კლიმატის ცვლილების შედეგთა შერბილებისა და ადაპტაციის მიზნების შესახებ.“

კომისიის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი პროექტი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ლევან ორდინიძე

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე